თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს **2020** წლის **7** თებერვლის სხდომის

ოქმი №1

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 7 თებერვალს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 30 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსიპროფესორიე.ხარაიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსიპროფესორიე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

4. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე.ხარაიშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის შესახებ

/დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პრიორიტეტების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ დეა ფირცხალაიშვილის განცხადება სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

10. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №1 სხდომის დღის წესრიგი

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორის თამარ სულუხიას წერილი (№1810/29, 05/02/2020), რომლითაც ის ითხოვს, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხი მინიჭებას.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რათა მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი მაგისტრატირის შემდეგ კურსდამთვრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. დავით ჰოვჰანნისიან AM0441065
2. დევიდ ჩესნი M8080366

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2019-2020 სასწავლო წლისშემდეგ კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. დავით ჰოვჰანნისიან AM0441065
2. დევიდ ჩესნი M8080366

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო,ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის" კურსდამთავრებულის გიორგი მოსეშვილის განცხადება (№5750/29, 17.12.12019). განცხადებაში იგი აღნიშნავს, რომ სწავლის საფასური აქვს სრულად გადახდილი და ითხოვს 2015-2016, 2016-2017სასწავლო წლებში ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ნასწავლი საგნების აღიარების საფუძველზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

გიორგი მოსეშვილი 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე - საერთაშორისო საწარმოთამართვა (ბრძანება №1649/01-04, 24.09.2013). 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო, შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, როგორც პირველი სემესტრის მაგისტრანტს (ბრძანება №2177/01-04, 26.11.2013). 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან აღიდგინა სტუდენტის სტატუსი, გაიარა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია,როგორც პირველი სემესტრის მაგისტრანტმა (ბრძანება №1656/01-04, 06.10.2014). გიორგი მოსეშვილმა 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში შეისწავლა თსუ უნივერსიტეტში პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო, არჩევითი სასწავლო კურსები და აითვისა 60

კრედიტი. 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სწავლა გააგრძელა ფრიდრიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში, ხოლო 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო, მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, როგორც მე-4 სემესტრის მაგისტრანტს (ბრძანება № 379/01-04,29.03. 2016). 2018 წლის 12 ივნისს გიორგი მოსეშვილის მიერ ფაულტეტზე წარმოდგენილი განცხადებას, თან ახლდა ფრიდრიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში მინიჭებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ნოტარიულად დამოწმებული ქსერო ასლები), აგრეთვე, იენის უნივერსიტეტის მიერ 2018 წლის 5 ივნისს გაცემული დოკუმენტი, სადაც ფიქსირდება, რომ გიორგი მოსეშვილი ჩარიცხული იქნა 01.10.2015 - 30.09.2017 სასწავლო წლების „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაზე (სპეციალობა: საერთაშორისო საწარმოთა მართვა). აღნიშნული სასწავლო პროგრამის სრული ხანგრძლივობაა ოთხი სემესტრი. აღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ იგი 2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წლებში აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში, მაგრამ არ გადაუხდია სწავლის საფასური. 2017 წლის 01 ივნისს ფრიდრიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტმა გასცა დიპლომი გიორგი მოსეშვილის სახელზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიამ, 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით გიორგი მოსეშვილს უღიარდა 2015-2016, 2016-2017 სასწავლო წლებში ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ნასწავლი საგნები (60 კრედიტი), აქედან 12 კრედიტი არის სამაგისტრო პროგრამის სავლდებულო სასწავლო კურსები, ხოლო24 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსი და სამაგისტრო ნაშრომი 24 კრედიტი. გიორგი მოსაშვილს შესრულებული აქვს სამაგისტრო პროგრამით გათვალიწინებული ყველა სასწავლო კურსი (120 კრედიტი).

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რათა მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის" 2017 წლის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. მოესეშვილი გიორგი 01008033653

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის" 2017 წლის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. მოსეშვილი გიორგი 01008033653

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№1056/10, 24.01.2020) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთვრებულ გაგა არაბულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გაგა არაბული 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის

დასწრებული სწავლების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 2.08.2001).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ გაგა არაბულს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №12) მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 23 აგვისტოს №4/727 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგიტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით BH№000406 (სარეგისტრაციო №01/2125) რეგისტრირებულია გაგა არაბულის სახელზე.

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №12) კურსდამთავრებულ გაგა არაბულისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის №4/727, 23.08.2005 ბრძანებით მინიჭებულ კვალიფიკაციასთან.

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა, შუალმდგომლობით, რათა შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 25 ივნისის (შემაჯამებელი ოქმი №12) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის

სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№12, 25.06.2005) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ გაგა არაბულისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.
2. აღნიშნული პირობა გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №12, 25.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (№331/10, 14.01.2020) მოითხოვა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის

ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2006 წლის კურსდამთავრებულ ნათია ჟღენტის დიპლომის დანართები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ნათია ამირანის ასული ჟღენტი 1999-2000 სასწავლო წელს ჩაირიცხა ინფორმატიკოს-ბიზნესმენის სპეცფაკულტეტის I კურსზე (ბრძანება №00/12/1999, 1.09.99). თსუ რექტორის 2000 წლის 9 ივნისის №4/463 ბრძანებით ნათია ჟღენტი 1999-2000 სასწავლო წლიდან ჩარიცხული იქნა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორატიკოს-ბიზნესმენის სპეციალობის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების I კურსზე (ბრძანება №4/463, §2, 9.06.2000 - საფუძველი: დეკანატის წარდგინება; თსუ რექტორის №280, 30.11.99 ბრძანებით ინფორმატიკოს-ბიზნესმენის სპეცფაკულტეტის შემოერთების თაობაზე).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ ნათია ამირანის ასულ ჟღენტს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 29 ივნისის №1/2003 შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1/2003) გადაწყვეტილებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერ-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 10 ივლისის №4/781 ბრძანებით - ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერ-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით BH№02721 (სარეგისტრაციო №01/31) რეგისტრირებულია ნათია ჟღენტის სახელზე.

წარმოდგენილ საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია ნათია ჟღენტის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის ასლი, რომლიდანაც ირკვევა შემდეგი: „ნათია ჟღენტი 1999 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე და 2003 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ინფორმატიკა ბიზნესში. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003

წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ნათია ჟღენტს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერ-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია".

ნათია ჟღენტის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№1/2003, 29.06.2003) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/781, 10.07.2003) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა კურსდამთავრებულისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ის მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ინფორმატიკა ბიზნესში" სპეციალობის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მენეჯერ-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესორმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა, თხოვნით შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4/2003, 29.06.2003) გადაწყვეტილება და აღნიშნული ოქმში დაფიქსირებულ კურსდამთვრებულებს (მ.შ. ნათია ჟღენტი) ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერ-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით" მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერ-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით". განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№4, 10.06.2004) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთვრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო (დღის) განყოფილების ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულ ნათა ჟღენტისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი,მენეჯერ-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი,მენეჯერ-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.
2. აღნიშნული პირობა გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1/2003, 29.06.2003)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში მომართვების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

I. საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 78):

1. სასწავლო კურსში „ორგანიზაციული ქცევა“(ავტორი ნ. ფარესაშვილი) განახლდა ლიტერატურა, მოეხსნა წინაპირობა.

2. შეიცვალა მოდულში „საერთაშორისო ბიზნესი“ არჩევითი სასწავლო კურსის „ევროკავშირის ბიზნესგარემო“ სილაბუსის ავტორი, ნაცვლად ლ. ყორღანაშვილისა სილაბუსის ავტორია გ. ბედიანიშვილი

3. სავალდებულო სასწავლო კურსი „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ ჩანაცვლდეს სასწავლო კურსით: „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში“ (ავტ. ლ. საბაური, 5 კრ. წინაპირობის გარეშე) (ეხება ეკონომიკის და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებს, ეს ცვლილება ასევე გამოიწვევს ცვლილებებს წინაპირობებში, სადაც წინაპირობად განსაზღვრული იყო „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“)

II. სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 81):

1. განახლდა სილაბუსი სასწავლო კურსში ,,მენეჯმენტი გლობალურ გარემოში“ (ავტორი პროფ. გ. ღაღანიძე) - გაერთიანდა მე-6 და მე-7 თემები, შემოტანილი იქნა ახალი თემა.

2. განახლდა სილაბუსი სასწავლო კურსში „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა“ (ავტორი ნ. ფარესაშვილი) - განახლდა ლიტერატურა..

3. შეიცვალა მოდულში „საერთაშორისო ბიზნესი“ სავალდებულო სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა (ავტორი ასოც. პროფ. ხათუნა ბერიშვილი)“ სახელწოდება შემდეგით: „საერთაშორისო ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა“.

III. საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 78):

1. მათემატიკა ბიზნესისათვის 1 და მათემატიკა ბიზნესისათვის 2 - წარმოდგენილია განახლებული სილაბუსი, თითოეული 5 კრედიტის მოცულობით, ლექცია 2 სთ, სემინარი 2 სთ (ავტორი პროფ. უშანგი გოგინავა)

2. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები - წარმოდგენილია განახლებული სილაბუსი, 5 კრედიტი, ლექცია 2 სთ, სემინარი 3 სთ. (ავტორი პროფ. ომარ ფურთუხია)

დასკვნის საფუძველზე ლექცია 2 სთ, სემინარი 2 სთ.

ცვლილებები სასწავლო კურსებში: მათემატიკა ბიზნესისათვის 1, მათემატიკა ბიზნესისათვის 2, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები ამოქმედება 2020-2021 სასწავლო წლიდან.

I V. სადოქტორო პროგრამაში

კვლევითი კომპონენტი

ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

ნაცვლად (სასურველია III-IV სემესტრებში)

ჩაიწეროს (არა უადრეს III სემესტრისა)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019 წელს განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

1. ხარისხის გარე შეფასებებში მონაწილეობა (აკრედიტაცია) და ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების შეფასება

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში. სამსახურმა შეიმუშავა შესასრულებელი სამუშაოების კონკრეტული გეგმა-გრაფიკი, რომლის განხორციელების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის, კვლევებისა და სამეცნიერო სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით ჩატარდა პროფესორთა სხდომები, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომები. სამსახურის სპეციალისტების მიერ შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციები, სტრუქტურები, სილაბუსები, მომზადდა სააკრედიტაციოდ წარსადგენი პროგრამის თვითშეფასების დანართები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა სააკრედიტაციოდ წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების თვიშფასების ანგარიშების მომზადებაში.

რეაკრედიტაციისათვის მომზადდა ორი, ხოლო აკრედიტაციისათვის ერთი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იქნა შემდეგი პროგრამები:

ა/ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამამ მიიღო სრული უპირობო აკრედიტაცია 7 წლის ვადით (№ 141; 27.06.2019);

ბ/ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამამ მიიღო სრული უპირობო აკრედიტაცია 7 წლის ვადით (№ 201; 12.11.2019);

გ/ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ (საფრანგეთის ლუმიერის ლიონ2-ის (LION 2) უნივერსიტეტთან თანამშრომლობით)

პროგრამამ მიიღო სრული უპირობო აკრედიტაცია 4 წლის ვადით (№ 237; 10.12.2019).

2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილეობა და ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების შეფასება

ფაკულტეტის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული სტრუქტურული და სასწავლო კურსების შინაარსობრივი ცვლილებები, გაუმჯობესების მიზნით მომზადებული შესაბამისი წინადადებები გააცნო პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს, ასევე, პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ სხვა მხარეებს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ორგანიზება გაუკეთა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარების ხელშემწყობი კომიტეტების, პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროფესორთა სხდომებს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა-გაუმჯობესების წინადადებების განხილვის, შესაბამისი პროექტების მომზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის მიზნით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობდა ფაკულტეტის მიერ აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამების თვითშეფასების პროცესში, შესაბამისი დოკუმენტების პროექტების განხილვაში, თვითშეფასების კითხვარის შესავსებად საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების, ექსპერტებთან გასაუბრებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ორჯერ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების/მონიტორინგის ვიზიტები მოწვეული ექსპერტთა ჯგუფების მიერ. ივნისის თვეში შეფასდა ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამები. დაიგეგმა ექსპერტთა ვიზიტი ფაკულტეტზე (25 ივნისი, 2019 წელი). საექსპერტო ჯგუფის დასკვნით მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა სამომავლო გეგმები პროგრამების განვითარების მიზნით. ასევე, ნოემბრის თვეში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი (29.11.2019), რომლითაც შეფასდა ტურიზმის საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები. დაიგეგმა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასება 2019-2020 სასწავლო წლისთვის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სამსახურის უფროსი სპეციალისტები ჩართულნი იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების/მონიტორინგის პროცესში და აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამების

განხილვებში. მათ მიერ შეფასდა თურქოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესში სტუდენტთა კონტინგენტის ზრდასთან დაკავშირებით, კერძოდ, მომზადდა შესაბამისი მასალები, ასევე, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად მონაწილეობდა ავტორიზაციის ექსპერტებთან ინტერვიუებში.

სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე, შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის სისტემატურად ხორციელდებოდა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურება.

3. უნივერსიტეტში სწავლის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა

პროგრამების აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში ცენტრალურ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ჩატარდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვა. შედეგები გაანალიზდა და მიეწოდა დაინტერესებულ მხარეებს.

გამოვლინდა 2019 წლის გაზაფხულის სემესტრით გათვალისწინებული სასწავლო კურსებით სტუდენტთა კმაყოფილების დონე. გაანალიზდა სხვადასხვა სასწავლო კურსის 525 შეფასების კითხვარი (მათ შორის თავისუფალი არჩევითი კურსებისათვის). განხორციელდა მიღებული მონაცემების დაჯგუფება დადამუშავდა ცალკეული კურსის მიხედვით.

შეფასდა 91 სასწავლო კურსი. შეფასებები გასაცნობად და რეაგირებისთვის ინდივიდუალურად გადაეცათ პროფესორ მასწავლებლებს.

გამოკითხვის განზოგადებული შედეგები საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მოცემულია დიაგრამებზე (იხ. დიაგრამები 1, 2, 3).



დიაგრამა 1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასება



დიაგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასება



დიაგრამა 3. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასება

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის ტრეინინგ-სემინარებში სწავლების მეთოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების შესახებ, კერძოდ:

- ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ,,უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება და ინტერნაციონალიზაციის" ქვეპროგრამის ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგი: კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი და კვალიფიკაციები. სწავლის შედეგებზე ორიენტაცია ეროვნულ და პროგრამულ დონეებზე. თბილისი, 2019 წლის 29 ოქტომბერი;
- ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ტრენინგი ავტორიზაციის ექსპერტებისთვის ,,ავტორიზაციის პროცესი: სტანდარტები და პროცედურა" თბილისი, 2019 წლის 25-26 ოქტომბერი;
- ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტებისთვის ,,აკრედიტაციის პროცესი: სტანდარტები და პროცედურა," თბილისი, 2019 წლის 4 ოქტომბერი;

- ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტებისთვის „სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება“. თბილისი, 2019 წლის 13 სექტემბერი;
- ✓ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტრენინგი თემაზე ,,საგანმანათლებლო პრომაგრების შეფასება" 2019 წლის 11 ივნისი;
- ✓ ფრანკოფონიური ინსტიტუტისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტრენინგი „სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხარისხის შეფასება“, თბილისი, 2019 წლის 16 მაისი;
- ✓ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტრენინგი კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩოს შესახებ. თბილისი, 2019 წლის 16 აპრილი;
- ✓ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული სემინარი დანიელი ექსპერტების მონაწილეობით ,,ავტონომიისა და პასუხისმგებლობის დესკრიპტორთან დაკავშირებული სწავლის შედეგ ების სწავლება და შეფასება". თბილისი, 2019 წლის 15 მარტი;
- ✓ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტრენინგი თემაზე „როგორ დავწეროთ სწავლის შედეგები“ ,2019 წლის 22 თებერვალი.
- ✓ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტრენინგები თემებზე „როგორ შევაფასოთ სწავლის შედეგები “ , „როგორ დავწეროთ პროგრამის ბიუჯეტი“. თბილისი, 2019 წლის თებერვალი-მარტი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ჩამოყალიბების დაგეგმილ ღონისძიებებში. „Turnitin“-ის პროგრამით თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოწმდა ფაკულტეტის ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესრულებული ნაშრომები, სულ 206 სამაგისტრო ნაშრომი. დამთხვევათა სტატისტიკური მონაცემები გაანალიზდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და გადაეგზავნა კათედრის ხელმძღვანელებს. მიღებული შედეგები გაანალიზდება დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, მომზადდება წინადადებები აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის შესამუშავდებლად.

4. საერთაშორისო თანამშრომლობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა საერთაშორისო მობილობის პროცესში ჩართული სტუდენტთა მხარდაჭერა. სამსახურის სპეციალისტები კონსულტაციას უწევდნენ სტუდენტებს საერათაშორისო მობილობის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების შესაძლო აღიარებისა და სასწავლო კურსების შერჩევის პროცესში.

გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისთვის მომზადდა კრედიტების წინასწარი აღიარების პროექტები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმის" (საფრანგეთის ლუმიერის ლიონ2-ის (LION 2) უნივერსიტეტთან თანამშრომლობით) მომზადებასა და შეფასებაში.

5. სამსახურის სხვა საქმიანობა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად მიმდინარეობდა სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და დოკუმენტაციის მომზადება კრედიტების აღიარების კომისიისთვის. შემოსულ წერილების მიხედვით პერიოდულად ხდებოდა საკითხების შესწავლა და საპასუხო წერილების მომზადება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა ფაკულტეტის საბჭოსთვის საკითხების მომზადებაში (პროგრამული ცვლილებები, ხარისხების მინიჭება, ხარისხების კორექტირება, ანკეტა-კითხვარების წარდგენა და სხვ.), კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის, კვლევისა და განვითარების სამსახურების საქმიანობასა და მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

განხორციელდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა, ახალი სასწავლო წლის მიღებისთვის ანკეტა–კითხვარების მომზადება და წარდგენა ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად.

6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების ხედვები

თსუ-ის დამხმარე პერსონალის სამუშაოს შეფასების წარმოდგენილი 10 ინდიკატორის მიხედვით შეფასდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები.

გამოვლინდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ძირითადი გამოწვევები, კერძოდ:

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა 2020 წლის 30 სექტემბრამდე;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების (ბრძანება#206/ნ. 30.09.2019) შესაბამისად ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებისა (არანაკლებ 180 კრედიტისა) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების (არანაკლებ 60 კრედიტისა) მომზადების კოორდინაცია;
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენის პროცესის მომზადება.

ინფორმაცია მოღებულ იქნა ცნობად

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე.ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა.

1. გიორგი ღაღანიძე - პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი
2. ირმა გრძელიძე - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. ნუგზარ თოდუა - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
4. ირაკლი კოვზანაძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

5. დავით ნარმანია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
6. ლევან საბაური - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
7. დემურ სიჭინავა - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
8. თემურ შენგელია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
9. იოსებ ხელაშვილი- პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
10. ნანა კაციტაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
11. ეთერ ხარაიშვილი - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
12. ნინო ფარესაშვილი - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
13. ირმა მშვენიერაძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
14. მანანა ლობჟანიძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
15. აკაკი მიქაბერიძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი
16. ია ნაცვლიშვილი - ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
17. მამუკა ხუსკივაძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
18. ვასილ კიკუტაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი
19. ნანა სრესელი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი
20. ბაბულია მღებრიშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი
21. რუსუდან სეთურიძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი
22. ლალი ხიხაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი
23. ხათუნა ბერიშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი

24. ბადრი რამიშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი
25. შოთა გაბადაძე - მაგისტრანტი
26. იოსებ მამუკელაშვილი - კურსდამთავრებული
27. ანა ჩეჩელაშვილი - კურსდამთავრებული
28. პაპუნა ტოლიაშვილი - კომპანია "სინერჯი ჯგუფის" დამფუძნებელი, დამსაქმებელი
29. ლავრენტი ჭუმბურიძე - დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი
30. ნოდარ ჭიჭინაძე - ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა არასამთავრობო ასოციაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა წარომდგენილი სახით.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის შესახებ

/დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

პროფესორმა გ. ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის.

ინფორმაცია წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პრიორიტეტების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პრიორიტეტული მიმართულებები:

1. საქართველოს ეკონომიკური ადგილი და როლი ცენტრალურ კავკასიაში
2. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა
3. უმაღლესი განათლებით კადრების მომზადება და მათზე მოთხოვნა საქართველოს შრომის ბაზარზე
4. საქართველოს დემოგრაფიული მომავალი
5. ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის ურთიერთკავშირი საქართველოში
6. ინდუსტრიალიზაციის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.
7. სოციალური მეწარმეობა - სოციალური უთანასწორობის დაძლევის მნიშვნელოვანი მიმართულება.
8. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა - ეკონომიკაში თვისებრივი ცვლილებების განმსაზღვრელი პოლიტიკა

9. საქართველოში ახალი დარგების განვითარების პრობლემების კვლევა

10. ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა

11. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ანალიზი და დაჩქარების შესაძლებლობები

12. საქართველოს ეკონომიკური ზრდის თავისებურებები: შედარებითი ანალიზი და პროგნოზი

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: გ.ღაღანიძემ, ე. ხარაიშვილმა, შ. შაბურიშვილმა

პროფესორმა გ. ღაღანიძემ საბჭოს შესთავაზა მოსაზრება რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები მიღებულ იქნას პრიორიტეტების გარეშე.

გაიმართა კენჭისყრა, მომხრე - 30

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსი გამოცხადდეს პრიორიტეტების გარეშე.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ზურაბ კირკიტაძის სადისერტაციო ნაშრომის: „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სტრატეგიები და მათი ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე (საქართველოს მაგალითზე)“,(მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ შენგელია), დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

შემფასებლები:

1. ეკონომიკის დოქტორი დავით მახვილაძე (თსუ)
2. ეკონომიკის დოქტორი დალი სეხნიაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი)

კომისია:

1.აკადადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

2. პროფესორი დემურ სიჭინავა

3. ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი

4. ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე

5. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

6. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

7. ასოცირებული პროფესორი ირმა დიხამინჯია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

8. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

9. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: გ.ღაღანიძემ, თ.შენგელიამ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე-30

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის

ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ზურაბ კირკიტაძის სადისერ-ტაციო ნაშრომის: „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სტრატეგიები და მათი ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე (საქართველოს მაგალითზე)",(მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ შენგელია), დაცვის კომისია და შემფასებლები:

შემფასებლები:

3. ეკონომიკის დოქტორი დავით მახვილაძე (თსუ)
4. ეკონომიკის დოქტორი დალი სეხნიაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი)

კომისია:

1.აკადადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

2. პროფესორი დემურ სიჭინავა

3. ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი

4. ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე

5. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

6. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

7. ასოცირებული პროფესორი ირმა დიხამინჯია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

8. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

9. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ხათუნა თაბაგარის სადისერტა-ციო ნაშრომის: „საქართველო-ირანის ეკონომიკური ურთიერთობები: რეგიონული სანედლეულო ბაზრის განვითარების პერსპექტივები",(მეცნიერ-ხელმძღვანელები: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე) დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე

2. პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

კომისია:

1. პროფესორი რევაზ გველესიანი
2. პროფესორი თემურ შენგელია
3. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
4. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
5. ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი დალი სეხნიაშვილი
7. ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
9. ეკონომიკის დოქტორიმამუკა ხუსკივაძე (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი)
10. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
11. ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
12. ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
13. ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა გ. ღაღანიძემ, ე. მექვაბიშვილმა, თ. შენგელიამ, ი.ანანიაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 4

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ხათუნა თაბაგარის სადისერტაციო ნაშრომის: „საქართველო-ირანის ეკონომიკური ურთიერთობები: რეგიონული სანედლეულო ბაზრის განვითარების პერსპექტივები“,(მეცნიერ-ხელმძღვანელები: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე)დაცვის კომისია და შემფასებლები:

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე

2. პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

კომისია:

1. პროფესორი რევაზ გველესიანი
2. პროფესორი თემურ შენგელია
3. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
4. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
5. ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი დალი სეხნიაშვილი
7. ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
9. ეკონომიკის დოქტორიმამუკა ხუსკივაძე (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი)
10. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
11. ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
12. ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
13. ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე სილაგაძის სადისერტაციო ნაშრომის: „ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები", (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი) დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

2. პროფესორი დალი სეხნიაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

კომისია:

1. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
2. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
3. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
4. ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
5. პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი).
6. ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი
7. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

8. ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
9. ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
10. ასისტენტ-პროფესორი ლელა ჯამაგიძე

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა. სილაგაძემ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე: 29

წინააღმდეგი - 1

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე სილაგაძის სადისერტაციო ნაშრომის: „ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები", (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი)დაცვის კომისია და შემფასებლები.

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
2. პროფესორი დალი სეხნიაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

კომისია:

1. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
2. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
3. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
4. ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
5. პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი).
6. ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი
7. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
8. ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
9. ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
10. ასისტენტ-პროფესორი ლელა ჯამაგიძე

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტგივი მაკალათიასსადისერტაციო ნაშრომის: „საბიუჯეტო პოლიტიკის როლი ეკონომიკურ ზრდაში საქართველოს მაგალითზე",(მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი) დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი მიხელ თოქმაზიშვილი

2. ასოცირებული პროფესორი თეა ლაზარაშვილი (პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი)

კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
3. პროფესორი ანზორ აბრალავა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
4. პროფესორი რევაზ გველესიანი
5. ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი
6. ასოცირებული პროფესორი ინგა ბალარჯიშვილი
7. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
8. ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
9. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
10. ასოცირებული პროფესორი მარინე ნაცვალაძე
11. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
12. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
13. ასოცირებული პროფესორი მამუკა ხუსკივაძე (პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 30

წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გივი მაკალათიას სადისერტაციო ნაშრომის: „საბიუჯეტო პოლიტიკის როლი ეკონომიკურ ზრდაში საქართველოს მაგალითზე“, (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი) დაცვის კომისია და შემფასებლები.

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი მიხელ თოქმაზიშვილი

2. ასოცირებული პროფესორი თეა ლაზარაშვილი (პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი)

კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
3. პროფესორი ანზორ აბრალავა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
4. პროფესორი რევაზ გველესიანი
5. ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი
6. ასოცირებული პროფესორი ინგა ბალარჯიშვილი
7. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
8. ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
9. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
10. ასოცირებული პროფესორი მარინე ნაცვალაძე
11. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
12. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
13. ასოცირებული პროფესორი მამუკა ხუსკივაძე (პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი)

მოისმინეს: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ.ლობჟანიძის ინფორმაცია, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ, გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრის პროფესორის ასისტენტის, დეა ფირცხალაიშვილის სწავლების საფასურის შეღავათის შესახებ (საფუძველი - განცხადება, რომლითაც ის ითხოვს სწავლის საფასურის შეღავათს).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს (ოქმი 1, 07.02 2020წ) გადაწყვეტილებით, დეა ფირცხალაიშვილს როგორც ფაკულტეტის პერსონალ-დოქტორანტს, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%-ით, 1125 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ.ლობჟანიძის ინფორმაცია, მაკროეკონომიკის კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ, ასოცირებული პროფესორის ნაზირა კაკულიას ნაცვლად, დაინიშნოს ასისტენტ-პროფესორი მარინა ტაბატაძე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: გ.ღაღანიძემ, მ.ტუხაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები,

მომხრე - 29

წინააღმდეგი -1

დაადგინეს: მაკროეკონომიკის კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელად დაინიშნოს ასისტენტ-პროფესორი მარინა ტაბატაძე.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე